თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7946883

ნომერი: AR11145278

თარიღი : 29.05.2026

გაცემის თარიღი : 03.06.2026

გაცნობის თარიღი : 03.06.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მიხეილ თამარაშვილის გამზირი, N 13მ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე კორძახია პ/ნ 01009004543
- თბილისი, ა. ყაზბეგის 51ა. ბ.19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 29 მაისს №AR11145278 განცხადებით მომართა ალექსანდრე კორძახიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2026 წლის 29 იანვრის №7788983 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 29 იანვრის №7788983 ბრძანებით, №01.10.16.004.315 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებლის მიერ განმარტებულია, რომ სამსახურის 2026 წლის 29 იანვრის №7788983 ბრძანებით შეთანხმებულ ფასადებზე, აქსონომეტრიულ ხედებსა და ფოტომონტაჟებზე დაშვებულია ტექნიკური შეცდომა მოსაპირკეთებელ მასალასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მოთხოვნილია ტექნიკური შეცდომის გასწორება და შეთანხმებული ფასადის, აქსონომეტრიული ხედებისა და ფოტომონტაჟების ჩანაცვლება წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილით.

სამსახურმა შეთანხმებული და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ №AR11095099 განცხადებით მოთხოვნილ იქნა №01.10.16.004.315 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი საპროექტო/სანებართვო დოკუმენტაცია, მათ შორის ფასადები, ფოტომონტაჟები და აქსონომეტრიული ხედები. სამსახურის მიერ 2026 წლის 29 იანვარის №7788983 ბრძანებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის ფასადების, ფოტომონტაჟებისა და აქსონომეტრიული ხედების გათვალისწინებით, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განგიმარტავთ, რომ ფასადების, აქსონომეტრიული ხედებისა და ფოტომონტაჟების ცვლილება არ წარმოდგენს ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს. აღნიშნული, საჭიროებს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილებას (კროექტირებას).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სამსახურის მიერ შეთანხმებულ ბრძანებაში არ ფიქსირდება ტექნიკური შეცდომა ფასადებთან, აქსონომეტრიული ხედებთან და ფოტომონტაჟებთან დაკავშირებით, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2026 წლის 29 იანვრის №7788983 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.